

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2020 წლის ქ. თბილისი

პესტიციდების მდგრადი გამოყენების მისაღწევად გასატარებელი  
ლონისძიების დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს „პესტიციდების მდგრადი გამოყენების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიება“ თანდართული დანართებით.

**მუხლი 2**

იმ პირობა, რომელთაც დადგენილების თანახმად, ეკისრებათ სერტიფიკატის ფლობის ვალდებულება, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, სანამ სერტიფიცირების სისტემა არ იქნება შემოღებული, დასაშვებია იქონიონ სათანადო ცოდნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები.

**მუხლი 3**

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია

## მუხლი 1. მიზანი და გამოყენების სფერო

1. პესტიციდების მდგრადი გამოყენების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიება განსაზღვრავს პესტიციდების მდგრადი გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე პესტიციდების გამოყენებით გამოწვეული რისკებისა და უარყოფითი ზემოქმედების შემცირების, მავნე ორგანიზმების მართვისა და ისეთი ალტერნატიული მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების გზით, როგორცაა პესტიციდების არაქიმიური ალტერნატივები.
2. ეს დადგენილება ვრცელდება ამ დადგენილების მე-2 მუხლის „ღ.“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პესტიციდებზე.
3. განსაკუთრებული გარემოების დროს, როდესაც არსებული ინფორმაციის საფუძველზე, არსებობს ეჭვი ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობასთან ან მცენარის სიჯანსაღესთან დაკავშირებული საფრთხის არსებობის შესახებ, ამასთანავე, დროებით ვერ ხერხდება ამ ინფორმაციის მეცნიერულად დასაბუთება, შესაძლებელია რისკის მართვის დროებითი ზომების მიღება და პესტიციდების გამოყენების შეზღუდვა ან აკრძალვა.
4. ამ დადგენილებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ დადგენილების მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

- ა) **პროფესიონალი მომხმარებელი** - ნებისმიერი პირი, რომელიც იყენებს პესტიციდებს პროფესიულ საქმიანობაში, მათ შორის, ოპერატორები, ტექნიკოსები, დამსაქმებლები და თვითდასაქმებულები, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ეკონომიკის სხვა სექტორებში;
- ბ) **დისტრიბუტორი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს პესტიციდების ბაზარზე განთავსებას, მათ შორის საბითუმო, საცალო მოვაჭრეები, გამყიდველები და მიმწოდებლები;
- გ) **კონსულტანტი** - ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და თავისი პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, უწევს კონსულტაციებს მცენარეთა დაცვასთან ან პესტიციდების უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით, მათ შორის, პირი, რომელიც ეწევა კერძო დამოუკიდებელ და საზოგადოებრივ საკონსულტაციო

მომსახურებას, კომერციული აგენტები, სურსათის მწარმოებლები და საცალო მოვაჭრეები;

დ) **პესტიციდების შემტანი მოწყობილობა** - ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც სპეციალურად განკუთვნილია პესტიციდების შესატანად, მათ შორის ისეთი დამხმარე მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია ასეთი აღჭურვილობის ეფექტური ფუნქციონირებისათვის, როგორცაა საცმები, მანომეტრები, ფილტრები, ბადეები და ავზების საწმენდი მოწყობილობები;

ე) **საჰაერო შესხურება** - პესტიციდების შეტანა ავიაციის (თვითმფრინავი ან ვერტმფრენი) გამოყენებით;

ვ) **მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა** - მცენარეთა დაცვის ყველა არსებული მეთოდისა და ხერხის გამოყენება უსაფრთხოების ზომების დაცვით და მავნე ორგანიზმების პოპულაციების განვითარების ხელშემშლელი სათანადო ღონისძიებების შემდგომი ინტეგრირება, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და ჩარევის სხვა ფორმების გამოყენება ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებულ საზღვრებში. ამასთან, მიღებული უნდა იქნას სხვა დამატებითი ზომები ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის მიყენებული შესაძლო რისკების შემცირების ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. "მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა" მნიშვნელობას ანიჭებს ჯანსაღი კულტურის მოსავლის ზრდას აგრო-ეკოსისტემების მინიმალური დარღვევით და ხელს უწყობს მავნე ორგანიზმების ბუნებრივი კონტროლის მექანიზმების სტიმულირებას;

ზ) **რისკის ინდიკატორი** - გაანგარიშების მეთოდის გამოყენების შედეგი, რომელიც გამოიყენება ადამიანის ჯანმრთელობაზე ან/და გარემოზე პესტიციდების ზემოქმედების რისკების შესაფასებლად;

თ) **არაქიმიური მეთოდები** - ქიმიური პესტიციდების ალტერნატიული მეთოდი მცენარეთა დაცვისა და მავნე ორგანიზმების მართვისთვის, რომელიც ემყარება ისეთ აგრონომიულ ტექნოლოგიებს, რომლებიც განსაზღვრულია „მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის ზოგადი პრინციპები“ დანართი N3-ის პირველ პუნქტში ან მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ფიზიკური, მექანიკური ან ბიოლოგიური კონტროლის მეთოდები;

ი) **ზედაპირული წყალი** - შიდა წყლები, გარდა გრუნტის, გარდამავალი და სანაპირო წყლებისა, თუმცა, ქიმიურ მდგომარეობასთან მიმართებით ის შესაძლებელია მოიცავდეს ტერიტორიულ წყლებსაც;

კ) გრუნტის წყალი - წყალი, რომელიც მდებარეობს მიწის ზედაპირის დაბლა, გაჯერებულ ზონაში და უშუალო შეხება აქვს მიწასთან ან ქვენიდაგთან.

ლ) პესტიციდი:

ლ.ა) მცენარეთა დაცვის საშუალება – პრეპარატი, რომელიც დაფასოებულია ისეთი სახით, როგორც ის მიეწოდება მომხმარებელს, შედგება ან შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს, ანტიდოტებს ან სინერგისტებს და გამოიყენება შემდეგი მიზნებისათვის:

ლ.ა.ა) მცენარეების ან მცენარეული პროდუქტების ნებისმიერი მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის ან ასეთი ორგანიზმების ზემოქმედების პრევენციის მიზნით, თუ ამ პრეპარატის ძირითადი მიზანია მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების დაცვა და არა ჰიგიენური გამოყენება;

ლ.ა.ბ) მცენარის სასიცოცხლო პროცესებზე ზემოქმედებისთვის, მაგ., ნივთიერებები, რომლებიც მოქმედებენ მათ ზრდაზე, გარდა საკვები ნივთიერებებისა და ბიოსტიმულატორებისა;

ლ.ა.გ) მცენარეული პროდუქტების დაცვისათვის, იმ შემთხვევაში, თუ მათზე არ ვრცელდება კონსერვანტებისთვის განსაზღვრული სპეციალური მოთხოვნები;

ლ.ა.დ) არასასურველი მცენარეებისა და მცენარეთა არასასურველი ნაწილების განადგურებისათვის, გარდა წყალმცენარეებისა, თუ პრეპარატი არ გამოიყენება ნიადაგზე ან წყალში მცენარეთა დაცვისათვის;

ლ.ა.ე) მცენარეთა არასასურველი ზრდის კონტროლის ან პრევენციისათვის, გარდა წყალმცენარეებისა, თუ პრეპარატი არ გამოიყენება ნიადაგზე ან წყალში მცენარეთა დაცვისათვის;

ლ.ბ) ბიოციდური პროდუქტი - აქტიური ნივთიერება ან გამხსნელი (preparations), რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ აქტიურ ნივთიერებას, ისეთ ფორმაში როგორც მიეწოდება მომხმარებელს, და რომელიც გამოიხსნება გაანადგუროს, შეაკავოს, გააუვნებელყოს, შეაფერხოს ზემოქმედება ან სხვაგვარად მოახდინოს ზემოქმედება მავნე ორგანიზმზე ქიმიური ან ბიოლოგიური გზით.

2. ამ წესის მიზნებისთვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ტერმინები.

**მუხლი 3. ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება**

1. ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს მიმართ პესტიციდების გამოყენების რისკისა და უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად და მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვისა და ალტერნატიული მიდგომების ან მეთოდების წასახალისებლად, ასევე, იმისათვის რომ შეიქმნას რაოდენობრივი ინდიკატორები, მიზნები, ზომები და გრაფიკები და შემცირდეს პესტიციდების გამოყენებაზე დამოკიდებულება, უნდა დამტკიცდეს ეროვნული სამოქმედო გეგმა. აღნიშნული მიზნები შესაძლებელია გავრცელდეს ინტერესის სხვადასხვა სფეროზე, მაგალითად, დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვაზე, ნარჩენების განთავსებაზე, კონკრეტული ტექნიკის გამოყენებაზე ან სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გამოყენებაზე.

2. ეროვნულ სამოქმედო გეგმას ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი .

3. ეროვნული სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს ინდიკატორებს მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების მონიტორინგისათვის, რომლებიც თავის მხრივ შეიცავენ მომეტებული საფრთხის შემცველ აქტიურ ნივთიერებებს, განსაკუთრებით ალტერნატიული პროდუქტების გამოყენების შემთხვევაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცენარეთა დაცვის საშუალებებს, რომლებიც შეიცავენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ აქტიურ ნივთიერებებს. ნივთიერების დაშვების კრიტერიუმები, ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოს ცოცხალ ორგანიზმებზე (ეკოტოქსიკოლოგიაზე) ზემოქმედების თვალსაზრისით, განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4. აღნიშნული ინდიკატორების საფუძველზე, თუ ზემოხსენებული აქტიური ნივთიერებების შემცველი პროდუქტების გამოყენების რისკები ან მოცულობები შემცირდა ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე, ეროვნულ სამოქმედო გეგმაში უნდა განისაზღვროს დამატებითი გრაფიკები და მაჩვენებლები აღნიშნული პროდუქტების გამოყენების მოცულობის შესამცირებლად. განსაკუთრებით, თუ გამოყენების შემცირება წარმოადგენს ამ დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებული რისკის შემცირების სათანადო საშუალებებს. ეს მიზნები შეიძლება იყოს შუალედური ან საბოლოო. საჭიროა გამოყენებულ იქნეს ყველა საჭირო ზომები ამ მიზნების მისაღწევად.

5. ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას/გადახედვისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს კონკრეტული ღონისძიებების ჯანმრთელობაზე ზემოქმედება, სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ზემოქმედება, ეროვნული,

რეგიონალური და ადგილობრივი პირობები და ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ინტერესები. ეროვნულ სამოქმედო გეგმაში უნდა განისაზღვროს, თუ როგორ განხორციელდება ამ დადგენილების მე-4-მე-13 მუხლებით გათვალისწინებული ზომები, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

6. ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დაგეგმილი ღონისძიებები წყლის რესურსების მართვის კუთხით.

7. ეროვნული სამოქმედო გეგმა ექვემდებარება გადახედვას მინიმუმ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.

8. სამინისტრო უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის საკუთარ ვებ გვერდზე განთავსებით.

#### **მუხლი 4. პროფესიული გადამზადება (ტრენინგი)**

1. ყველა პროფესიონალ მომხმარებელს, დისტრიბუტორსა და კონსულტანტს უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი ტრენინგი, რომელიც უნდა ჩატარდეს იმ პირის მიერ, რომელსაც განსაზღვრავს სააგენტო. ტრენინგი უნდა მოიცავდეს როგორც თავდაპირველ, ასევე დამატებით ტრენინგს შესაბამისი ცოდნის შეძენისა და განახლებისთვის.

2. ტრენინგის მიზანია მომხმარებლებმა, დისტრიბუტორებმა და კონსულტანტებმა მიიღონ საკმარისი ცოდნა „ტრენინგის საკითხები“ N1 დანართით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, მათი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.

3. სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს სერტიფიცირების სისტემა და განსაზღვროს აღნიშნული სისტემის დანერგვაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანოები. სერტიფიკატი, სულ მცირე, უნდა ადასტურებდეს პროფესიონალი მომხმარებლების, დისტრიბუტორებისა და კონსულტანტების მიერ ტრენინგის ან სხვა საშუალებით მიღებულ საკმარის ცოდნას პირველ დანართში ჩამოთვლილ საგნებთან დაკავშირებით.

4. სერტიფიცირების სისტემა უნდა შეიცავდეს სერტიფიკატის მინიჭების, განახლებისა და გაუქმების პირობებსა და პროცედურებს.

#### **მუხლი 5. პესტიციდების რეალიზაციის მოთხოვნები**

1. დისტრიბუტორებს უნდა ჰყავდეთ ამ დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სერტიფიცირებული საკმარისი რაოდენობის პერსონალი, რომლებიც რეალიზაციის დროს მომხმარებელს მიაწვდიან სათანადო ინფორმაციას პესტიციდების

გამოყენების, ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედების რისკებთან დაკავშირებით და ასევე, ინფორმაციას აღნიშნული პროდუქციის გამოყენებისას უსაფრთხოების წესების დაცვისა და რისკების მართვის შესახებ. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე დისტრიბუტორები, რომლებიც ახდენენ პროდუქციის რეალიზაციას მხოლოდ არაპროფესიონალური გამოყენებისათვის, შეიძლება გათავისუფლდნენ აღნიშნული ვალდებულებისაგან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ახდენენ იმ პესტიციდების ფორმების ბაზარზე განთავსებას, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც ტოქსიკური, ძალიან ტოქსიური, კარცეროგენური, მუტაგენური ან რეპროდუქციისათვის ტოქსიკური.

2. მიღებული უნდა იქნას აუცილებელი ზომები, რომ პროფესიული გამოყენებისათვის რეგისტრირებული პესტიციდების რეალიზაცია მოხდეს იმ პირობებზე, რომლებიც ფლობენ ამ დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ სერტიფიკატს.

3. დისტრიბუტორებმა, რომლებიც ახდენენ პესტიციდების რეალიზაციას არაპროფესიონალ მომხმარებლებზე, უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება იმ რისკების შესახებ, რომელიც შეიძლება პესტიციდებმა შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს, კერძოდ, პესტიციდებით გამოწვეული საფრთხეების, ზემოქმედების, პესტიციდების სათანადო შენახვის, მისი გამოყენების და უსაფრთხო განადგურების ან დაბალი რისკის მქონე ალტერნატივების შესახებ, ნარჩენების მართვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სააგენტოს შეუძლია გამოითხოვოს პესტიციდების მწარმოებლებისაგან ამგვარი ინფორმაცია.

## **მუხლი 6. ინფორმაციის მიწოდება**

1. სააგენტომ უნდა მიიღოს ზომები ფართო საზოგადოების ინფორმირებისთვის, ცნობიერების ამაღლების პროგრამების ხელშეწყობისთვის, ასევე, ფართო საზოგადოებისათვის პესტიციდების შესახებ ზუსტი და დაბალანსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, განსაკუთრებით რისკებისა და პოტენციურად მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ.

2. სააგენტომ უნდა შექმნას სისტემები პესტიციდების მწვავე მოწამვლის, აგრეთვე ქრონიკული მოწამვლის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს ისეთ ჯგუფებში, როგორცაა ოპერატორები, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები ან პესტიციდის გამოყენების არეალთან ახლოს მცხოვრები პირები.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველსაყოფად, სააგენტომ უნდა შეიმუშავოს სახელმძღვანელო დოკუმენტი ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე პესტიციდების გამოყენების გავლენის მონიტორინგისა და გამოკვლევასთან დაკავშირებით.

### **მუხლი 7. პესტიციდების შემტანი მოწყობილობის შემოწმება**

1. პესტიციდების შემტანი მოწყობილობა პროფესიული გამოყენებისთვის უნდა ექვემდებარებოდეს ინსპექტირებას რეგულარული ინტერვალებით. 2029 წლის წემდეგ ინსპექტირებები უნდა ჩატარდეს არაუმეტეს 3 წელიწადში ერთხელ“.

2. 2029 წლამდე სააგენტოს მიერ პესტიციდების შემტანი მოწყობილობა შემოწმებული უნდა იყოს სულ მცირე ერთხელ მაინც. აღნიშნული თარიღის შემდგომ მხოლოდ ის პესტიციდების შესატანი აპარატი უნდა იყოს პროფესიულად გამოყენებული, რომელმაც წარმატებით გაიარა შემოწმება.

3. ახალი აღჭურვილობა უნდა შემოწმდეს შეძენიდან ხუთი წლის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ.

4. ამ მუხლის პირველი - მე-3 პუნქტებიდან გამონაკლისის სახით ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედების რისკების შეფასების გზით, მათ შორის აღჭურვილობის გამოყენების მასშტაბის შეფასების გზით, შესაძლებელია:

ა) გამოყენებულ იქნეს განსხვავებული განრიგები და ინსპექტირების ინტერვალები პესტიციდების შემტანი ტექნიკისთვის, რომლებიც არ გამოიყენება პესტიციდების აეროზოლური საშუალებით შესაფრქვევად, პესტიციდების შემტანი პორტატული მოწყობილობებისთვის და ზურგსაკიდი აპარატებისა და პესტიციდების დამატებითი შესატანი ტექნიკისათვის, რომლებიც განკუთვნილია მცირე მასშტაბით გამოყენებისთვის, და რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას ამ დადგენილების მე-3 მუხლით განსაზღვრულ ეროვნული სამოქმედო გეგმაში. პესტიციდების შემტანი შემდეგი დამატებითი აღჭურვილობა არ უნდა ჩაითვალოს ძალიან მცირე მასშტაბით გამოყენებისათვის:

ა.ა) მატარებლებზე ან თვითმფრინავზე დამონტაჟებული აეროზოლური შემასხურებელი მოწყობილობა;

ა.ბ) შტანგიანი შემასხურებლები, რომელთა ზომა აღემატება 3 მ, მათ შორის შტანგიანი შემასხურებლები, რომლებიც დამონტაჟებულია სათეს ტექნიკაზე;



ბ) არ ჩატარდეს შემოწმება პესტიციდების შემტანი პორტატული მოწყობილობებზე ან ზურგსაკიდ აპარატებზე. ამ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, ოპერატორებისთვის ინფორმაციის მიწოდება ნაწილების რეგულარული შეცვლის, ამ მოწყობილობასთან დაკავშირებული სპეციფიკური რისკების შესახებ და ოპერატორების სათანადო მომზადება ამ აღჭურვილობის სწორ გამოყენებასთან დაკავშირებით ამ დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად.

5. შემოწმების შედეგად უნდა დადასტურდეს, რომ პესტიციდების შემტანი მოწყობილობა აკმაყოფილებს ამ დადგენილების „ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია პესტიციდების შემტანი ტექნიკის შემოწმებასთან“ დანართი N2 -ით განსაზღვრულ მოთხოვნებს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მაღალი დონის მისაღწევად.

6. პესტიციდების შემტანი მოწყობილობა, უნდა პასუხობდეს ჰარმონიზებულ სტანდარტებს და უნდა ჩაითვალოს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

7. პროფესიონალი მომხმარებელი ვალდებულია მოახდინოს პესტიციდების შემტანი მოწყობილობის რეგულარული დაკალიბრება და ტექნიკური შემოწმება ამ დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრული ტრენინგის შესაბამისად.

8. ინსპექტირების განხორციელებაზე პასუხისმგებელია სააგენტო.

9. სამინისტროს მიერ უნდა შეიქმნას სერტიფიცირების სისტემა, რომელიც იძლევა სხვა ქვეყნების მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგების და ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად გაცემული სერტიფიკატის აღიარების საშუალებას, როდესაც სხვა ქვეყანაში ჩატარებული ინსპექტირებიდან გასული დრო შეესაბამება ან უფრო მცირეა ვიდრე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დრო.

10. აღიარებული უნდა იქნეს სხვა ქვეყნების მიერ გაცემული სერტიფიკატები, იმ პირობით, რომ გათვალისწინებულია პირველ პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების ინტერვალები.

## **მუხლი 8. საჰაერო შესხურება**

1. პესტიციდებით საჰაერო შესხურება აკრძალულია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტიდან გამონაკლისის სახით საჰაერო შესხურება შეიძლება დაშვებული იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) არ არსებობს ეფექტური ალტერნატივა, ან არსებობს აშკარა უპირატესობა პესტიციდების მიწისზედა შეტანასთან შედარებით ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე შემცირებული ზემოქმედების თვალსაზრისით;

ბ) გამოყენებული პესტიციდები დაშვებული უნდა იყოს ქვეყანაში საჭაერო შესხურებისთვის, საჭაერო შესხურებისას არსებული რისკების კონკრეტული შეფასების საფუძველზე;

გ) ოპერატორს, რომელიც ახორციელებს საჭაერო შესხურებას, უნდა ჰქონდეს ამ დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატი.

დ) საჭაერო შესხურების განმახორციელებელი ბიზნესოპერატორი უნდა იყოს სერტიფიცირებული კომპეტენტური ორგანოს მიერ და უფლებამოსილი მოახდინოს პესტიციდების საჭაერო შესხურებისთვის გამოყენებული ტექნიკისა და საფრენი აპარატების ავტორიზაცია;

ე) თუ შესასხურებელი ტერიტორია ახლოს არის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ ადგილებთან, უნდა იქნეს გამოყენებული რისკების მართვის სპეციალური ზომები, ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით. შესასხურებელი ტერიტორია არ უნდა იყოს საცხოვრებელ ადგილების სიახლოვეს;

ვ) საჭაერო აპარატები აღჭურვილი უნდა იყოს ისეთი მოწყობილობებით, რომლებიც წარმოადგენენ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნოლოგიას, რათა შეამცირონ საჭაერო შესხურების დროს შესასხურებელი ნივთიერების სხვა ადგილზე გადატანა.

3. სააგენტომ უნდა დაადგინოს სპეციალურ მოთხოვნები საჭაერო შესხურებისათვის, მე-5 პუნქტით განსაზღვრული განაცხადის განხილვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პირობები კულტურებზე, ტერიტორიებზე, სხვადასხვა გარემოებებსა და გამოყენების განსაკუთრებულ მოთხოვნებზე, მათ შორის, ამინდზე, იმ თვალსაზრისით, თუ სად შეიძლება იქნეს დაშვებული საჭაერო შესხურება.

4. სააგენტომ უნდა განსაზღვროს ზომები, რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის და შემთხვევითი გამვლელების დროული გაფრთხილებისათვის და გარემოს დაცვისთვის იმ ტერიტორიის მახლობლად, სადაც განხორციელდა შესხურება.

5. პროფესიონალმა მომხმარებელმა, რომელსაც სურს გამოიყენოს პესტიციდები საჭაერო შესხურების გზით, სააგენტოს უნდა წარუდგინოს განაცხადი გამოყენების გეგმის აღიარებაზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები, რომლის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული

პირობები. განაცხადი სააგენტოს უნდა წარედგინოს დროულად. განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შესხურების სავარაუდო დროისა და გამოსაყენებელი პესტიციდების რაოდენობისა და ტიპის შესახებ.

6. სააგენტომ უნდა განსაზღვროს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განაცხადის განხილვის ვადა. აღნიშნულ ვადაში განმცხადებლისთვის პასუხის შეუტყობინებლობა, ჩაითვლება დადებით გაწყვეტილებად.

7. განსაკუთრებული შემთხვევებში, კერძოდ, გადაუდებელი ან საგანგებო სიტუაციების დროს, შესაძლებელია წარდგენილი იქნეს ცალკეული განაცხადები საჭიერო შესხურების გამოყენებაზე. ასეთ შემთხვევაში, სააგენტომ დაჩქარებული წესით უნდა შეამოწმოს დაკმაყოფილებულია თუ არა ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული პირობები შესხურების დაწყებამდე.

8. ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მდგომარეობა სააგენტოს მიერ უნდა შემოწმდეს შესაბამისი მონიტორინგის ჩატარების გზით.

9. სააგენტო ახორციელებს აღიარების მისაღებად შემოსული განაცხადების და გაცემული აღიარებების რეესტრს და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს (უზრუნველყოფენ) გარკვეული ინფორმაციის, როგორცაა შესაწამლი ფართობი, შეწამვის სავარაუდო დღე და დრო, პესტიციდების ტიპი, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას.

10. ეროვნულ სამოქმედო გეგმებში შეტანილი უნდა იქნეს დებულებები იმ პირების ინფორმირების შესახებ, რომლებმაც შეიძლება განიცადონ საჭიერო შესხურების ზემოქმედება.

## **მუხლი 9. წყლის გარემოსა და სასმელი წყლის დაცვის სპეციფიკური ზომები**

1. სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი ზომები წყლის გარემოს და სასმელი წყლის წყაროების დასაცავად პესტიციდების ზემოქმედებისგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვის დროს აუცილებელია:

ა) უპირატესობა მიენიჭოს იმ პესტიციდებს, რომლებიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ არიან კლასიფიცირებული, როგორც წყლის გარემოსათვის საშიში პესტიციდები;

ბ) უპირატესობა მიენიჭოს ყველაზე ეფექტური გამოყენების ტექნოლოგიებს, როგორცაა აეროზოლური გაფრქვევის მცირე დრიფტის მქონე პესტიციდების შემტანი ტექნიკის გამოყენება ხეხილის ბაღებისა და ვენახებისთვის, განსაკუთრებით კი - მხვიარა მცენარეებისათვის, როგორცაა სვია და სხვა მცენარეები;

გ) შემარბილებელი ღონისძიებების გამოყენება, რის შედეგადაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ტერიტორიის გარეთ დაბინძურების რისკი, რომელიც გამოწვეულია აეროზოლური გაფრქვევით, პესტიციდების დაღვრით, სანიაღვრე და ჩამდინარე ნაკადებით. აღნიშნული ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ისეთი შესაბამისი ფართობის ბუფერული ზონების შექმნას არასამიზნე წყლის ორგანიზმებისათვის და ისეთი უსაფრთხო ზონების შექმნას ზედაპირული და სასმელად გამოსაყენებელი გრუნტის წყლების დასაცავად, სადაც არ ხდება პესტიციდების გამოყენება ან შენახვა;

დ) საერთოდ გამოირიცხოს ან შემცირდეს პესტიციდების შეტანა გზების, რკინიგზის ხაზების, ძალიან დიდი ფილტრაციის მქონე ზედაპირების ან ზედაპირული წყლების, გრუნტის წყლების, ჩამდინარე სისტემების ან ჰერმეტიკული ზედაპირების მახლობლად, რომელთაც აქვთ ზედაპირულ წყლებში დრენირების მაღალი რისკი.

## **მუხლი 10. პესტიციდების გამოყენების ან რისკების შემცირება სპეციფიკურ არეალებში**

1. ჰიგიენის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და ბიომრავალფეროვნების მოთხოვნების, ან შესაბამისი რისკის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას პესტიციდების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანა ან აკრძალვა გარკვეულ სპეციფიკურ არეალებში. მიღებული უნდა იქნას სათანადო რისკის მართვისა და ბიოლოგიური კონტროლის ზომები და პირველ რიგში, გამოყენებული უნდა იქნას მცენარეთა დაცვის დაბალი რისკის მქონე საშუალებები, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნულის სპეციფიკური არეალებია:

ა) საჯარო ტერიტორიები ან მოწყვლადი ჯგუფების მიერ გამოყენებული ტერიტორიები, როგორცაა საჯარო პარკები და ბაღები, სპორტული და სარეკრეაციო მოედნები, სასკოლო და საბავშვო მოედნები და ტერიტორიები სამედიცინო ობიექტების სიახლოვეს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცული ტერიტორიები ან სხვა ტერიტორიები, რომლებიც განსაზღვრულია საჭირო კონსერვაციის ღონისძიებების დასადგენად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) ახლად დამუშავებული ტერიტორიები, რომლებიც გამოყენებულია ან ხელმისაწვდომია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირებისათვის.

## **მუხლი 11. პესტიციდებით დამუშავება, შენახვა და მათი შეფუთვისა და ნარჩენების გადამუშავება**

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიღებული უნდა იქნას აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროფესიონალი მომხმარებლების და საჭიროების შემთხვევაში, დისტრიბუტორების მიერ, ისეთი შემდეგი ოპერაციების შესრულება, რომლებიც საფრთხეს არ შეუქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს:

ა) პესტიციდების შენახვა, მოპყრობა, გახსნა და შერევა გამოყენებამდე;

ბ) პესტიციდების შეფუთვის და ნარჩენების გადამუშავება;

გ) გამოყენების შემდეგ ავზში დარჩენილი ნარეგების განკარგვა;

დ) გამოყენების შემდეგ გამოყენებული მოწყობილობის გაწმენდა;

ე) პესტიციდების ნარჩენების და მათი შეფუთვის აღდგენა ან განადგურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, მიღებული უნდა იქნას ყველა საჭირო ზომა რეგისტრირებულ პესტიციდებთან დაკავშირებით, რომლებიც ნებადართულია არაპროფესიონალი მომხმარებლების მიერ გამოყენებისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული საფრთხის შემცველი ქმედებების განხორციელება. აღნიშნულის ზომები შეიძლება მოიცავდეს დაბალი ტოქსიკურობის პესტიციდების გამოყენებას, გამოყენებისათვის მზა ფორმულაციებს, კონტეინერების ან შეფუთვის ზომის შემცირებას.

3. პროფესიონალური გამოყენებისთვის განკუთვნილი პესტიციდების შენახვის ადგილები აგებული იყოს ისე, რომ მოხდეს არასასურველი გამოფრქვევების თავიდან აცილება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილმდებარეობას, ზომას და სამშენებლო მასალებს.

## **მუხლი 12. მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა**

1. მიღებული უნდა იქნას ყველა საჭირო ზომა, რათა მავნე ორგანიზმების მართვისას, გამოყენებული იქნას პესტიციდების შემცირებული რაოდენობა, ამასთან, პრიორიტეტი მიეცეს არაქიმიურ მეთოდებს, იმისათვის, რომ პესტიციდების პროფესიონალი მომხმარებლები გადავიდნენ ისეთ მეთოდებისა და პროდუქტების გამოყენებაზე, რომლებიც ყველაზე დაბალი რისკის მქონეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის და გარემოსათვის. მცენარეთა მავნებლების მართვა დაბალი შემცველობის პესტიციდების

გამოყენებით მოიცავს მავნე ორგანიზმების ინტეგრირებულ მართვას, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის ორგანული პროდუქციის წარმოებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სააგენტომ უნდა შექმნას ყველა აუცილებელი პირობა ან ხელი შეუწყოს ამგვარი პირობების შექმნას მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის დასანერგად. აღნიშნულმა პირობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიონალ მომხმარებლებს ჰქონდეთ საშუალება იხელმძღვანელონ მათ ხელთ არსებული ინფორმაციითა და საშუალებებით, მავნებლების მონიტორინგისა და გადაწყვეტილების მიღების დროს, ისევე როგორც მიიღონ კონსულტაციები მავნებლების ინტეგრირებულ მართვასთან დაკავშირებით.

3. ეროვნულ სამოქმედო გეგმაში, აღწერილი უნდა იყოს ქმედებები, თუ როგორ უნდა მოხდეს დანართი N3-ით განსაზღვრული მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის საერთო პრინციპების უზრუნველყოფა ყველა პროფესიონალი მომხმარებლების მიერ.

4. სააგენტოს ან/და იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ კონკრეტულ პროფესიონალ მომხმარებლებს, უნდა შეიქმნას შესაბამისი სისტემა პროფესიონალი მომხმარებლების წასახალისებლად, რათა მათ ნებაყოფლობით შეიმუშაონ კონკრეტული კულტურების ან მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის უზრუნველსაყოფად სექტორული სპეციფიკური სახელმძღვანელოები.

5. სააგენტომ უნდა იხელმძღვანელოს იმ სახელმძღვანელოებით, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.

### **მუხლი 13. ინდიკატორები, ანგარიშგება და ინფორმაციის გაცვლა**

1. სააგენტომ უნდა შეიმუშავოს ჰარმონიზებული რისკის ინდიკატორები ამ დადგენილების „რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორები“ დანართი N4-ის შესაბამისად.

2. სააგენტომ უნდა:

ა) გამოთვალოს ჰარმონიზებული რისკის ინდიკატორები ამ დადგენილების დანართი N4-ის შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, რომელიც მოიცავს სტატისტიკას მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ, სხვა შესაბამის მონაცემებთან ერთად;

ბ) დაადგინოს გარკვეული აქტიური ნივთიერებების გამოყენების ტენდენციები;

გ) განსაზღვროს პრიორიტეტული საკითხები, როგორცაა აქტიური ნივთიერებები, კულტურები, რეგიონები ან პრაქტიკა, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ან კარგი პრაქტიკა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც მაგალითი, რათა შესაძლებელი გახდეს ამ დადგენილებით განსაზღვრული იმ მიზნების მიღწევა, როგორცაა პესტიციდების გამოყენების რისკებისა და ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედების შემცირება და წახალისოს მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის და ალტერნატიული მიდგომების ან მეთოდების შემუშავება და დანერგვა პესტიციდების გამოყენებაზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

4. სააგენტომ, ასევე უნდა გამოთვალოს ჰარმონიზებული რისკის ინდიკატორები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, რომელიც მოიცავს სტატისტიკას მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ, სხვა შესაბამის მონაცემებთან ერთად, იმისათვის რომ შეაფასოს პესტიციდების გამოყენებით გამოწვეული რისკების ტენდენციები.

5. სააგენტომ, ასევე უნდა გამოიყენოს ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული მონაცემები და ინფორმაცია, რათა შეფასდეს პროგრესი სხვა სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მიღწევაში, რომლებიც მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე პესტიციდების ზემოქმედების შესამცირებლად.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

#### **მუხლი 14. პასუხისმგებლობა**

ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **მუხლი 15. მომსახურების საფასური**

სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი N 1

ტრენინგის საკითხები

1. შესაბამისი კანონმდებლობა პესტიციდებისა და მათი გამოყენების შესახებ.
2. ფალსიფიცირებული მცენარეთა დაცვის საშუალებები და რისკები. ასეთი პროდუქციის იდენტიფიცირების მეთოდები.
3. პესტიციდებთან დაკავშირებული საფრთხეები და რისკები. როგორ უნდა მოხდეს მათი იდენტიფიცირება და კონტროლი, კერძოდ:
  - ა) რისკები ადამიანების მიმართ (ოპერატორები, მაცხოვრებლები, ადამიანები, რომლებიც შედიან დამუშავებულ ტერიტორიებზე, და ისინი, რომლებიც ანხორციელებენ დატვირთვა-გადმოტვირთვით სამუშაოებს, ან მოიხმარენ დამუშავებულ პროდუქტებს) და როგორ ახდენენ ამ რისკების გამწვავებას ისეთი ფაქტორები, როგორცაა მოწვევა;
  - ბ) პესტიციდებით მოწამვლის სიმპტომები და პირველადი დახმარების ღონისძიებები;
  - გ) რისკები, რომლებიც დაკავშირებულია არასამიზნე მცენარეებთან, სასარგებლო მწერებთან, ველურ ბუნებასთან, ბიომრავალფეროვნებასთან და ზოგადად გარემოსთან.
4. მცენარეთა მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის სტრატეგიების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მართვის მეთოდების, ორგანული მეურნეობის პრინციპების, მავნებლების ბიოლოგიური მართვის მეთოდების, მემცენარეობის ზოგადი პრინციპების შესახებ ინფორმაციის და ცალკეული კულტურების ან მცენარეთა მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის სექტორების სახელმძღვანელოების კონცეფცია.
5. მომხმარებლის დონეზე შედარებითი შეფასების ინიცირება პროფესიონალი მომხმარებლების დასახმარებლად, რომელიც საშუალებას იძლევა გაკეთდეს ყველაზე შესაფერისი არჩევანი პესტიციდებთან დაკავშირებით, რომლებსაც ექნებათ ნაკლები გვერდითი მოვლენები ადამიანის ჯანმრთელობაზე, არამიზნობრივ ორგანიზმებზე და გარემოზე, ყველა ავტორიზებული პროდუქციისთვის მოცემულ ვითარებაში, მოცემული მავნებლების პრობლემის გადასაწვეტად.
6. ადამიანების, არასამიზნე ორგანიზმების და გარემოს რისკების მინიმიზაციის ღონისძიებები: უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკა პესტიციდების შენახვა, დამუშავება, შერევა და ცარიელი შეფუთვის, სხვა დაბინძურებული მასალების და პესტიციდების ჭარბი რაოდენობის განკარგვა (ავზის ნარევების ჩათვლით), იქნება ეს კონცენტრირებული თუ განზავებული ფორმა; რეკომენდაციები ოპერატორებისათვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე.



7. რისკის შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი წყლის ექსტრაქციის ცვალებადობას, როგორც კლიმატი, ნიადაგის და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ტიპები და რელიეფი.

8. პესტიციდების შემტანი ტექნიკის მოსამზადებელი პროცედურები, მათ შორის მისი დაკალიბრება, რათა მიღწეული იქნეს მომხმარებლისთვის, სხვა ადამიანებისთვის, არასამიზნე ცხოველთა და მცენარეთა სახეობებისთვის, ბიომრავალფეროვნების და გარემოსათვის, მათ შორის წყლის რესურსებისთვის ტექნიკის ექსპლუატაციით გამოწვეული რისკების მინიმუმამდე შემცირება.

9. პესტიციდების შემტანი ტექნიკისა და სპეციფიკური შემასხურებელი ტექნიკის (მაგ. მცირემოცულობიანი შემასხურებელი და დაბალი დრიფტის მქონე ბუნიკები) გამოყენება, ასევე, გამოყენებული შემასხურებლების ტექნიკური შემოწმების მიზნები და შესხურების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებები. პესტიციდების პორტატული ან ზურგსაკიდი აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკები და ამ რისკების მართვის შესაბამისი ზომები.

10. საგანგებო ზომები ადამიანის ჯანმრთელობის, გარემოს, მათ შორის წყლის რესურსების დასაცავად შემთხვევითი დაღვრის და დაბინძურების, ამასთან, ექსტრემალური ამინდის პირობებში, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს პესტიციდების გაჟონვა.

11. განსაკუთრებული ზრუნვა დაცული ტერიტორიების მიმართ, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და შესაბამის ობიექტებთან დაშვების შესაძლებლობა, რათა მოხდეს ნებისმიერი ინციდენტის ან მოსალოდნელი ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

13. პესტიციდების ნებისმიერი გამოყენების აღრიცხვა, კანონმდებლობასთან შესაბამისობით.

დანართი N2

**ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია პესტიციდების შემტანი ტექნიკის შემოწმებასთან**

1. პესტიციდების შემტანი ტექნიკის შემოწმება უნდა მოიცავდეს ყველა ასპექტს, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მაღალი დონის მისაღწევად. შემტანის ოპერაციის სრული ეფექტურობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი მოწყობილობების და მისი ფუნქციების სათანადო შესრულებით, რათა გარანტირებული იყოს შემდეგი მიზნების მიღწევა:

ა) პესტიციდების შემტანი მოწყობილობები საიმედოდ უნდა ფუნქციონირებდეს და სწორად იქნას გამოყენებული დანიშნულებისამებრ, რათა დადგინდეს პესტიციდების ზუსტი დოზები და განაწილება.

ბ) აღჭურვილობა უნდა იყოს ისეთი მდგომარეობაში, რომ მისი შევსება და დაცლა ხორციელდებოდეს უსაფრთხოდ, მარტივად, სრულად და თავიდან იყოს აცილებული პესტიციდების გაჟონვა.

გ) შესაძლებელი უნდა იყოს მისი მარტივი და სრულყოფილი გაწმენდა. ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი უსაფრთხო ოპერირება, იყოს ადვილად კონტროლირებადი და ოპერატორს შეეძლოს მისი დაუყოვნებლივი შეჩერება თავისი სამუშაო ადგილიდან.

დ) საჭიროების შემთხვევაში, დარეგულირება უნდა იყოს მარტივი, ზუსტი და შეეძლოს რეპროდუცირება.

2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

ა) ელექტროგადამცემ ნაწილებს: დენის გამომრთველი და ჩამრთველი მცველის დაკავშირება უნდა იყოს დამონტაჟებული და კარგ მდგომარეობაში. დამცავი მოწყობილობები და ნებისმიერი მოძრავი ან მზრუნავი ელექტროგადამცემი ნაწილების ფუნქციები არ უნდა იყოს დაზიანებული, რათა უზრუნველყოს ოპერატორის დაცვა.

ბ) ტუმბოს: ტუმბოს სიმძლავრე უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკის საჭიროებებს და უნდა ფუნქციონირებდეს სწორად, რათა უზრუნველყოს სტაბილური და საიმედო გამოყენების სიჩქარე. არ უნდა ხდებოდეს ტუმბოდან გაჟონვა.

გ) შემრევებს: შემრევმა მოწყობილობებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი რეცირკულაცია, რათა მიღწეულ იქნას თხევადი ნარევი ხსნარის მთლიანი მოცულობის ერთგვაროვანი კონცენტრაცია ავზში.

დ) შესასხურებელი სითხის ავზს: შემასხურებელის ავზები, რომლებსაც აქვთ შემცველობის ინდიკატორი, შესავსები მოწყობილობები, ბადეები, ფილტრები, დამცლელი და გამრეცხი სისტემები და შემრევი მოწყობილობები უნდა ოპერირებდნენ

ისე, რომ შეამცირონ შემთხვევითი დაღვრის შესაძლებლობა, კონცენტრაციის არათანაბარი განაწილება, ოპერატორზე ზემოქმედება და ნარჩენი შიგთავსი.

ე) საზომი სისტემების, კონტროლისა და რეგულირების სისტემებს: ყველა მოწყობილობა გაზომვისთვის, ჩართვის/გამორთვის და წნევის ან/და ნაკადის დონის რეგულირებისთვის სათანადოდ უნდა იყოს დაკალიბრებული და გამართულად მუშაობდეს, რათა არ მოხდეს გაჟონვა. ექსპლუატაციის დროს წნევის კონტროლი და წნევის კონტროლის დამარეგულირებელი მოწყობილობის ოპერირება უნდა ხდებოდეს ადვილად. წნევის დამარეგულირებელი მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს სტაბილურ წნევას ტუმბოს მუდმივი ბრუნის დროს, რათა უზრუნველყოფილ იყოს შესხურების სტაბილური დონე

ვ) მილებს და შლანგებს: მილები და შლანგები უნდა იყოს სათანადო პირობებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული სითხის გაჟონვა ან შემთხვევითი დაღვრა დაზიანების შემთხვევაში. არ უნდა ხდებოდეს გაჟონვა მილებიდან ან შლანგებიდან, როდესაც მოწყობილობა მუშაობს სისტემისთვის მისაღები მაქსიმალური წნევით.

ზ) ფილტრაციას: გაფრქვევისას ტურბულენტებისა და ჰეტეროგენობის თავიდან აცილების მიზნით, ფილტრები უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში და ფილტრების ბადის ზომა უნდა შეესაბამებოდეს შემასხურებელზე მორგებული ბუნეკების ზომას. საჭიროების შემთხვევაში, ფილტრის ბლოკირების ინდიკატორის სისტემამ უნდა იმოქმედოს შესაბამისად.

თ) შემასხურებლის შტანგას: შემასხურებლის შტანგა (მოწყობილობებისთვის, რომლებიც ახდენენ პესტიციდების გაფრქვევას ჰორიზონტალურად განლაგებული შტანგით, და რომლებიც მდებარეობენ შესაწამლ მცენარესთან ან სხვა დამუშავებულ მასალასთან ახლოს) უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში და სტაბილურად მოძრაობდეს ყველა მიმართულებით. ფიქსაციისა და რეგულირების სისტემები და ხელსაწყოები, რომლებიც ახდენენ უნებლიე მოძრაობების შემცირებას და ფერდობის კომპენსაციას უნდა მუშაობდეს გამართულად.

ი) ბუნეკებს: ბუნეკები უნდა მუშაობდეს გამართულად, რათა გააკონტროლონ წვეთების ჟონვა, როდესაც ჩერდება გაფრქვევა. გასაფრქვევი ნაკადის სიჩქარის ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად, თითოეული ბუნეკის ნაკადის სიჩქარე არ უნდა იყოს მნიშვნელოვნად გადახრილი ცხრილებში მოცემული იმ ნაკადის მონაცემებისაგან, რომელიც წარმოდგენილია მწარმოებლის მიერ.

კ) განაწილებას: განივი და ვერტიკალური (მცოცავი კულტურების შეწამვლის შემთხვევაში) შესხურებისას, ნაზავის განაწილება სამიზნე ტერიტორიაზე უნდა იყოს თანაბარი.

ლ) ვენტილატორს: ვენტილატორი (მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია პესტიციდების საჰაერო შეფრქვევისათვის) უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში და უნდა უზრუნველყოს ჰაერის სტაბილური და საიმედო ნაკადი.

## დანართი N3

### მაგნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის ზოგადი პრინციპები

1. მაგნე ორგანიზმების გავრცელების თავიდან აცილების ან/და აღკვეთის სხვადასხვა გზებს შორის პრიორიტეტი პირველ რიგში უნდა მიენიჭოს:

ა) კულტურების თესლბრუნვას;

ბ) კულტივირების ადეკვატური ტექნოლოგიების გამოყენებას (მაგალითად, სათესი ტექნიკა, თესვის ვადები და სიმჭიდროვე, თესვის სიღრმე ნიადაგის ფენის ქვეშ, გაჭრა და პირდაპირი თესვა);

გ) საჭიროების შემთხვევაში, გამძლე/ტოლერანტული კულტურების და სტანდარტული/სერტიფიცირებული სათესლე და სარგავი მასალის გამოყენებას;

დ) დაბალანსებული განოყიერების, მოთაბამირების და ირიგაციის/დრენაჟის პრაქტიკის გამოყენებას;

ე) მაგნე ორგანიზმების გავრცელების პრევენციას ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით (მაგ. მანქანებისა და აღჭურვილობის რეგულარული წმენდა);

ვ) მნიშვნელოვანი სასარგებლო ორგანიზმების დაცვას და სტიმულირებას, მაგ. მცენარეთა დაცვის ადეკვატური ღონისძიებების ან ეკოლოგიური ღონისძიებების გამოყენების საშუალებით წარმოების ადგილების შიგნით და გარეთ.

2. შესაძლებლობის შემთხვევაში, მაგნე ორგანიზმების მონიტორინგი უნდა ტარდებოდეს ადეკვატური მეთოდებით და საშუალებებით. ასეთი ადეკვატური საშუალებები უნდა მოიცავდეს საველე დაკვირვებებს, ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში, მეცნიერულად დასაბუთებულ გაფრთხილებას, პროგნოზირებას და ადრეული დიაგნოსტიკის

სისტემებს, ისევე როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კონსულტაციების პრაქტიკულ გამოყენებას.

3. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, პროფესიონალმა მომხმარებელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სად და როდის გამოიყენოს მცენარეთა დაცვის საშუალებები. გადაწყვეტილების მიღების ძირითად კომპონენტებად ითვლება ძლიერი და მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმები. შესაძლებლობის შემთხვევაში, მავნე ორგანიზმებისათვის დადგენილი ზღვრული რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია რეგიონისთვის, კონკრეტული ტერიტორიებისთვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და კლიმატური პირობებისთვის უნდა იქნას გათვალისწინებული დამუშავების დაწყებამდე.

4. უპირატესობა უნდა მიენიჭოს მდგრად ბიოლოგიურ, ფიზიკურ და სხვა არაქიმიურ მეთოდებს ქიმიურ მეთოდებთან შედარებით, თუ ისინი უზრუნველყოფენ მავნე ორგანიზმების დამაკმაყოფილებელ მართვას.

5. გამოყენებული პესტიციდები, უნდა იყოს რამდენადაც შესაძლებელია სპეციფიკური თითოეული სამიზნე ობიექტისთვის და ჰქონდეს უმნიშვნელო გვერდითი მოვლენები ადამიანის ჯანმრთელობაზე, არასამიზნე ორგანიზმებსა და გარემოზე.

6. პროფესიონალმა მომხმარებელმა უნდა გამოიყენოს პესტიციდები და ჩარევის სხვა ფორმები იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია: შემცირებული დოზებით, შესხურების შემცირებული რაოდენობით ან ნაწილობრივი შესხურებით, იმის გათვალისწინებით, რომ არსებული რისკები მისაღებია მცენარეებისთვის ვეგეტაციის პერიოდში და ამ ტიპის პესტიციდების მიმართ არ გაზრდის მავნე ორგანიზმების პოპულაციებში რეზისტენტობის რისკს.

7. თუ მცენარეთა დაცვის ზომების მიმართ რეზისტენტობის რისკი დადასტურებულია და თუ მავნე ორგანიზმების რაოდენობა მოითხოვს პესტიციდების განმეორებით რამდენჯერმე გამოყენებას კულტურებზე, უნდა იქნას გამოყენებული ხელმისაწვდომი ანტირეზისტენტული სტრატეგიები მცენარეთა დაცვის საშუალებების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სახის პესტიციდების გამოყენებას მოქმედების სხვადასხვა მექანიზმით.

8. პესტიციდების გამოყენებისა და მავნე ორგანიზმების მონიტორინგის შედეგების შესახებ ჩანაწერების საფუძველზე, პროფესიონალმა მომხმარებელმა უნდა შეამოწმოს გამოყენებული მცენარეთა დაცვის საშუალებების ეფექტურობა.

## სექცია 1

### რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორები

რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორები მოცემულია წინამდებარე დანართის მეორე და მესამე სექციებში

## სექცია 2

**რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 1: საფრთხეზე დაფუძნებული რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბაზარზე განთავსებულ მცენარეთა დაცვის საშუალებებში აქტიურ ნივთიერებათა რაოდენობაზე**

1. წინამდებარე ინდიკატორი დაფუძნებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბაზარზე განთავსებულ მცენარეთა დაცვის საშუალებებში აქტიურ ნივთიერებათა რაოდენობის სტატისტიკაზე. აღნიშნული მონაცემები კატეგორიზირებული იქნება 4 ჯგუფად, დაყოფილი 7 კატეგორიად.

2. რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 1-ის გამოსათვლელად მოქმედებს შემდგომი წესები:

ა) რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 1 გამოთვლილი იქნება აქტიური ნივთიერებების 4 ჯგუფად და 7 კატეგორიად კატეგორიზაციის თანახმად, როგორც მოცემულია ცხრილში N1;

ბ) ჯგუფ 1-ში მოცემული აქტიური ნივთიერებები (კატეგორიები A და B) იქნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქტიური ნივთიერებები;

გ) ჯგუფ 2-ში მოცემული აქტიური ნივთიერებები (კატეგორიები C და D) იქნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქტიური ნივთიერებები;

დ) ჯგუფ 3-ში მოცემული აქტიური ნივთიერებები (კატეგორიები E და F) იქნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქტიური ნივთიერებები;

ე) ჯგუფ 4-ში მოცემული აქტიური ნივთიერებები (კატეგორია G) იქნება ის აქტიური ნივთიერებები, რომელიც არ არის აღიარებული საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

ვ) იმოქმედებს ცხრილი N1-ის მეექვსე (vi) რიგში მოცემული სიმძიმეები.

3. რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 1 გამოთვლილი იქნება ცხრილში N1 მოცემული თითოეული ჯგუფის აქტიური ნივთიერებებისთვის ბაზარზე განთავსებული წლიური რაოდენობის რიგ ექვსში (vi) მოცემულ საფრთხის შესაბამის სიმძიმეზე გამრავლებით, რომელსაც შემდგომში მოჰყვება ამგვარი გამოთვლების შედეგების დაჯამება (აგრეგირება).

4. შესაძლებელია გამოთვლილი იყოს ცხრილი N1-ში მოცემული თითოეული ჯგუფისა და კატეგორიისათვის ბაზარზე განთავსებული აქტიური ნივთიერების რაოდენობა.

ცხრილი N1

**აქტიური ნივთიერებებისა და საფრთხის სიმძიმეების კატეგორიზაცია რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 1-ის გამოსათვლელად**

რიგი	ჯგუფები						
	1		2		3		4
(i)	დაბალი რისკის მქონე აქტიური ნივთიერებები რომელიც აღიარებულია ან ითვლება აღიარებულად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად		აქტიური ნივთიერებები, რომელიც აღიარებულია ან ითვლება აღიარებულად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად		აქტიური ნივთიერებები რომელიც აღიარებულია ან ითვლება აღიარებულად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად		აქტიური ნივთიერებები, რომელიც არ არის აღიარებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
(ii)	კატეგორიები						
(iii)	A	B	C	D	E	F	G
(iv)	მიკროორგანიზმები	აქტიური ქიმიური ნივთიერებები	მიკროორგანიზმები	აქტიური ქიმიური ნივთიერებები	ნივთიერებები რომლებიც არაა კლასიფიცირებული, როგორც: კარცეროგენული კატეგორია 1A და 1B ან/და რეპროდუქციის ათვის ტოქსიკური კატეგორია 1A და 1B ან/და ენდოკრინულ სისტემაზე ზეგავლენის მქონე ნივთიერებები	ნივთიერებები რომლებიც არაა კლასიფიცირებული, როგორც: კარცეროგენული კატეგორია 1A და 1B ან/და რეპროდუქციის ათვის ტოქსიკური კატეგორია 1A და 1B ან/და ენდოკრინულ სისტემაზე ზეგავლენის მქონე	

						ნივთიერებები, როდესაც ადამიანზე ზეგავლენა უმნიშვნელოა	
(v)	საფრთხის სიმძიმეები რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბაზარზე განთავსებულ მცენარეთა დაცვის საშუალებებში აქტიურ ნივთიერებათა რაოდენობის მიმართ						
(vi)	1	8	16	64			

5. რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორ 1-სთვის საბაზისო (საწყისი, რეფერენტული) დონე იქნება 100 და ის მომდევნო ორი წლის პერიოდში ზემოაღნიშნული გამოთვლების საშუალო შედეგის ტოლია.

6. რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორ 1-ის შედეგი გამოსახული იქნება მისი საბაზისო (საწყისი, რეფერენტული) დონეზე მითითებით (სათვალაუბრი მიღებით).

7. რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 1 გამოთვლილი და გამოქვეყნებული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყოველ კალენდარულ წელს და არა უგვიანეს 20 თვისა იმ წლის დასრულებიდან, რომლისთვის გამოთვლილი იქნა რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი.

### სექცია 3

#### რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 3: რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული რეგისტრაციების (ავტორიზაციების) რაოდენობაზე

1. წინამდებარე ინდიკატორი ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მცენარეთა დაცვის საშუალებებზე გაცემული რეგისტრაციების (ავტორიზაციების) რაოდენობას. აღნიშნული მონაცემები კატეგორიზირებული იქნება 4 ჯგუფად, დაყოფილი 7 კატეგორიად.



2. რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 2-ის გამოსათვლელად მოქმედებს შემდგომი ზოგადი წესები:

ა) რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 2 დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გაცემული რეგისტრაციების (ავტორიზაციების) რაოდენობაზე. ის გამოთვლილი იქნება აქტიური ნივთიერებების 4 ჯგუფად და 7 კატეგორიად კატეგორიზაციის თანახმად, როგორც მოცემულია წინამდებარე სექციის ცხრილი N2-ში.

ბ) ჯგუფ 1-ში მოცემული აქტიური ნივთიერებები (კატეგორიები A და B) მოცემულია საქართველოს კანონმდებლობაში;

გ) ჯგუფ 2-ში მოცემული აქტიური ნივთიერებები (კატეგორიები C და D) იქნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქტიური ნივთიერებები;

დ) ჯგუფ 3-ში მოცემული აქტიური ნივთიერებები (კატეგორიები E და F) იქნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქტიური ნივთიერებები;

ე) ჯგუფ 4-ში მოცემული აქტიური ნივთიერებები (კატეგორია G) იქნება ის აქტიური ნივთიერებები, რომლებიც არ არის აღიარებული საქართველოს კანონმდებლობით;

ვ) იმოქმედებს ცხრილი N2-ის მეექვსე (vi) რიგში მოცემული სიმძიმეები.

3. რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 2 გამოთვლილი იქნება ცხრილი N2-ში მოცემული თითოეული ჯგუფისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული რეგისტრაციების (ავტორიზაციების) რაოდენობის საფრთხის შესაბამის სიმძიმეზე გამრავლებით, რომელიც მოცემულია რიგ 6-ში (vi), რომელსაც შემდგომში მოჰყვება აღნიშნული გამოთვლების შედეგების დაჯამება (აგრეგირება).

**ცხრილი N2**

**აქტიური ნივთიერებებისა და საფრთხის სიმძიმეების კატეგორიზაცია რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 2-ის გამოსათვლელად**

რიგი	ჯგუფები						
	1	2	3	4			
(i)	დაბალი რისკის მქონე აქტიური ნივთიერებები რომელიც აღიარებულია ან ითვლება აღიარებულად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად	აქტიური ნივთიერებები, რომელიც აღიარებულია ან ითვლება აღიარებულად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად	აქტიური ნივთიერებები რომელიც აღიარებულია ან ითვლება აღიარებულად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად	აქტიური ნივთიერებები, რომელიც არ არის აღიარებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად			
(ii)	კატეგორიები						
(iii)	A	B	C	D	E	F	G

(iv)	მიკროორგანიზმები	აქტიური ქიმიური ნივთიერებები	მიკროორგანიზმები	აქტიური ქიმიური ნივთიერებები	ნივთიერებები რომლებიც არაა კლასიფიცირებული, როგორც: კარცეროგენული კატეგორია 1A და 1B ან/და რეპროდუქციის ათვის ტოქსიკური კატეგორია 1A და 1B ან/და ენდოკრინულ სისტემაზე ზეგავლენის მქონე ნივთიერებები	ნივთიერებები რომლებიც არაა კლასიფიცირებული, როგორც: კარცეროგენული კატეგორია 1A და 1B ან/და რეპროდუქციის ათვის ტოქსიკური კატეგორია 1A და 1B ან/და ენდოკრინულ სისტემაზე ზეგავლენის მქონე ნივთიერებები, როდესაც ადამიანზე ზეგავლენა უმნიშვნელოა	
(v)	საფრთხის სიმძიმეები რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული რეგისტრაციების (ავტორიზაციების) რაოდენობის მიმართ						
(vi)	1		8		16		64

4. რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორ 2-სთვის საბაზისო (საწყისი, რეფერენტული) დონე იქნება 100 და ის მომდევნო ორი წლის პერიოდში ზემოაღნიშნული გამოთვლების საშუალო შედეგის ტოლია.

5. რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორ 2-ის შედეგი გამოსახული იქნება მისი საბაზისო (საწყისი, რეფერენტული) დონეზე მითითებით (სათვალაუბრი მიღებით).

6. რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 2 გამოთვლილი და გამოქვეყნებული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყოველ კალენდარულ წელს და არა უგვიანეს 20

თვისა იმ წლის დასასრულისგან, რომლისთვის გამოთვლილი იქნა რისკის ჰარმონიზირებული ინდიკატორი 2.

### **განმარტებითი ბარათი**

**„პესტიციდების მდგრადი გამოყენების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე**

### **ინფორმაცია პროექტის შესახებ**

პროექტი ითვალისწინებს პესტიციდების მდგრადი გამოყენების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიების დამტკიცებას.

პროექტის მომზადება განპირობებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების განუყოფელი ნაწილია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“

შეთანხმება (DCFTA) რომლის მე-4 თავის თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება (DCFTA -ის მე-4 თავი, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, დანართი XI-B). მათ შორის არის Directive 2009/128/EC of the European Parliament and of the Council of 21 October 2009 establishing a framework for Community action to achieve the sustainable use of pesticides.

პროექტის მიზანია შეიქმნას საერთო სამართლებრივი ბაზა პესტიციდების, რომლებიც წარმოადგენენ მცენარეთა დაცვის საშუალებებს, მდგრადი გამოყენების მისაღწევად, პრევენციული და უსაფრთხოების მიდგომების გათვალისწინებით. მასში გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა იყოს დამატებითი იმ ღონისძიებებთან მიმართებაში, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით პესტიციდების მართვის სფეროში.

პროექტით გათვალისწინებულია ისეთი საკითხების დარეგულირება რომლებიც წარმოიშობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პესტიციდების მოხმარების და გამოყენების დროს და განკუთვნილია პესტიციდების ყველა დამამზადებელი საწარმოსათვის, იმპორტიორებისათვის, დისტრიბუტორებისათვის, კონსულტანტებისათვის, რეალიზატორებისა და მოხმარებლებისათვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, ვისი საქმიანობაც დაკავშირებულია პესტიციდების იმპორტთან, წარმოებასთან (დაფასობასთან), ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან, რეალიზაციასთან, რეკლამასთან და გამოყენებასთან.

პროექტი განსაზღვრავს პესტიციდებთან მოპყრობის და გამოყენების ზოგად სტანდარტებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სახიფათო ნივთიერებებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების უსაფრთხო მიწოდება და გამოყენება.

პროექტის თანახმად, უნდა შემუშავდეს ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს რაოდენობრივი მიზნების, ღონისძიებების, გრაფიკების და ინდიკატორების შექმნას პესტიციდების გამოყენებისას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკისა და ზემოქმედების შემცირების მიზნით და ინტეგრირებული მავნე ორგანიზმების მართვისა და ალტერნატიული მიდგომების ან ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული მიზნად ისახავს პესტიციდების გამოყენებაზე დამოკიდებულების შემცირებას, კონკრეტული აქტიური ნივთიერებების შემცველი მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების მონიტორინგს და მათი გამოყენების შემცირების გრაფიკების შემუშავებას.

ეროვნული სამოქმედო გეგმაში აღწერილი უნდა იყოს, თუ როგორ უზრუნველყოფს ქვეყანა მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის პრინციპების

განხორციელებას, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს, მცენარეთა დაცვისას და მავნე ორგანიზმებისა და კულტურების მენეჯმენტისას არაქიმიური მეთოდების გამოყენებას.

ეროვნულ სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტია მიზნების და ქმედებების შესახებ ინფორმაციის გაცვლა და საზოგადოების მონაწილეობა გარკვეული გეგმების და გარემოსთან დაკავშირებული პროგრამების შედგენისას.

პროექტის თანახმად, უნდა შემუშავდეს ისეთი პირველადი და დამატებითი ტრენინგების სისტემები პესტიციდების დისტრიბუტორების, კონსულტანტების და პროფესიონალი მომხმარებლებისთვის, და სერტიფიცირების სისტემები, რათა მათ ვინც გამოიყენებენ პესტიციდებს კარგად იცოდნენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის პოტენციური რისკები და შესაბამისი ზომები, რომლებიც რაც შეიძლება მეტად შეამცირებენ ამ რისკებს.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროექტის თანახმად, დისტრიბუციის ქსელში საბოლოო მომხმარებლისთვის პესტიციდების რეალიზაციის დროს, მათ მიეცეს კონკრეტული რჩევა და რეკომენდაციები ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის შესახებ, პესტიციდების უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე, ასევე შეფუთვის განადგურებაზე. ამასთან, საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული კამპანიების საშუალებით, პესტიციდების გამოყენების შესაძლო რისკების გათვალისწინებით.

პროექტი ითვალისწინებს, ასევე, კვლევის პროგრამების წახალისებას, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე პესტიციდების გამოყენების ზეგავლენის განსაზღვრას, მათ შორის მაღალი რისკის ჯგუფების კვლევებს.

პროექტის თანახმად, პესტიციდების დამუშავება და გამოყენება საჭიროებს სამუშაო ადგილას მინიმალური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაწესებას, რომელიც მოიცავს ადამიანზე ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ რისკებს, ასევე ზოგად და კონკრეტულ პრევენციულ ღონისძიებებს ამ რისკების შესამცირებლად. ჩასატარებელი სამუშაოები ითვალისწინებს ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პირების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების იმ რისკებიდან დაცვას, რომლებიც უკავშირდება კანცეროგენებთან ან მუტაგენებთან მუშაობას.

პროექტით განისაზღვრა მოთხოვნები პესტიციდების შემტანი მოწყობილობების ბაზარზე განთავსებისთვის, ასეთი ტექნიკის გამოყენების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე პესტიციდების არასასურველი ზემოქმედებების შემცირების მიზნით. ამასთან, შემუშავებული უნდა იქნას პესტიციდების შესატანი ტექნიკის რეგულარული ტექნიკური შემოწმების სისტემები.

ვინაიდან, პესტიციდების საჭაერო გაფრქვევას აქვს პოტენციური გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოზე, აქედან გამომდინარე, საჭაერო გაფრქვევა ზოგადად აკრძალული უნდა იყოს

ნაწილობრივი გაუქმების გზით, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც არ არსებობს დასაბუთებული ალტერნატივები, იმ პირობით, რომ გამოიყენება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგია დრიფტის შემცირების მიზნით.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია ისეთი საკითხების დარეგულირება, როგორცაა:

- წყლის გარემო, რომელიც განსაკუთრებით მგრძობიარეა პესტიციდებისადმი. პროექტის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზედაპირული წყლის და გრუნტის წყლების დაბინძურების თავიდან აცილებას შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, მაგალითად, ბუფერული ზონების შექმნით და სხვა. სასმელი წყლის აბსტრაქციისთვის პესტიციდების გამოყენებამ, სატრანსპორტო მარშრუტების ან სარკინიგზო ხაზების გასწვრივ, ან ჰერმეტიკულ ან ძალიან შეღწევად ზედაპირებზე, შეიძლება გამოიწვიოს წყლის გარემოს დაბინძურების უფრო მაღალი რისკები. ასეთ ადგილებში პესტიციდების გამოყენება უნდა მოხდეს მაქსიმალურად შემცირებულად ან საჭიროების შემთხვევაში საერთოდ აიკრძალოს.
- პესტიციდების გამოყენება საჯარო პარკებში და ბაღებში, სპორტულ და რეკრეაციულ ადგილებში, სასკოლო და საბავშვო მოედნებთან და ჯანდაცვის ობიექტების სიახლოვეს. ამ ადგილებში, პესტიციდების გამოყენება უნდა შემცირდეს ან აიკრძალოს. მათი გამოყენებისას აუცილებელია ჩამოყალიბდეს შესაბამისი რისკის მართვის ზომები და უპირველეს ყოვლისა მოხდეს დაბალი რისკის პესტიციდების გამოყენება ბიოლოგიური კონტროლის ღონისძიებებთან ერთად.
- პესტიციდების დამუშავება, შენახვა, განზავება და შერევა, და გამოყენების შემდეგ პესტიციდების შემტანი ტექნიკის დასუფთავება და ავზში არსებული ნარეგების, პესტიციდების ცარიელი შეფუთვების და პესტიციდების ნარჩენების განადგურება. აღნიშნული საკითხის დარეგულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათი ადამიანისა და გარემოზე არასასურველი ზემოქმედების გამო. პროექტის თანახმად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამატებითი კონკრეტული ზომები, რომლებიც შეესაბამება ნარჩენების მართვას. ღონისძიებები ასევე უნდა მოიცავდეს არაპროფესიონალ მომხმარებლებს, რადგან არასათანადო მოპყრობა სავარაუდოა, რომ მოხდეს ამ ჯგუფის წევრების მიერ ცოდნის ნაკლებობის გამო.
- ფერმერის მიერ მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის ზოგადი პრინციპების ცოდნა და კულტურების დაცვის სპეციფიკური სახელმძღვანელოების გამოყენება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ყველა შესაძლო მავნე ორგანიზმების ეფექტიან კონტროლს, პესტიციდების უფრო მიზანმიმართულად გამოყენებას, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს რისკის შემდგომ შემცირებას და პესტიციდების გამოყენებაზე დამოკიდებულებას. პესტიციდების შემცირებული შემტანის გზით ხელი უნდა შეეწყოს მავნე ორგანიზმების ინტეგრირებულ მენეჯმენტს და შეიქმნას აუცილებელი პირობები და ღონისძიებები მისი განხორციელებისთვის.

პროექტით ითვალისწინებს, რომ შეფასდეს მიღწეული პროგრესი ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოსთვის პესტიციდების გამოყენების უარყოფითი ზეგავლენის რისკის შემცირების თვალსაზრისით. შეფასების სათანადო საშუალებებია ჰარმონიზებული რისკის ინდიკატორები და ეროვნული ინდიკატორები. გამოიყენებული უნდა იქნას რისკების მართვა ეროვნული მაჩვენებლებისა და საანგარიშო მიზნებისათვის და მცენარეთა დაცვის საშუალებების კანონმდებლობის შესაბამისად შეგროვებული სტატისტიკური მონაცემები.

პროექტის თანახმად, უნდა განისაზღვროს ეფექტური, პროპორციული და გამჭვირვალე ჯარიმები, რომლებიც გამოიყენება ამ პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევაზე და უზრუნველყოფილი იქნას მათი აღსრულება.

### **ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ**

პროექტი მომზადებულია Directive 2009/128/EC of the European Parliament and of the Council of 21 October 2009 establishing a framework for Community action to achieve the sustainable use of pesticides შესაბამისად.

#### **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება**

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

#### **პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

### **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

პროექტის მიღებით, მოხდება პესტიციდების ბაზარზე განთავსების პროცედურების სრულყოფა, რაც წარმოადგენს მცენარეთა დაცვის საშუალებების ეფექტიანი გამოყენებისა და ადამიანისა და გარემოსათვის უსაფრთხო მოხმარების საფუძველს. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება რეგისტრანტის/მწარმოებლის, იმპორტიორის და მიწოდების ჯაჭვში ჩართული ყველა პირების მიერ მომხმარებლისთვის და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას პესტიციდის ეფექტურობის და ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, მის ცოცხალ ორგანიზმებზე რისკის და ზემოქმედების შემცირების ზომების შესახებ.

### **პროექტის განხორციელების ვადები**

პროექტი ძალაში შევა 2024 წლის პირველი იანვრიდან. პროექტის ამოქმედებისთვის გარდამავალი პერიოდის დაწესება განპირობებულია იმით, რომ იმ

სუბიექტებს, ისევე როგორც მაკონტროლებელ ორგანოებს, რომლებზეც გავრცელდება აქტის მოქმედება მიეცეთ სათანადო დრო, რათა მოემზადონ ახალი მოთხოვნებისთვის.

აღსანიშნავია, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

### **პროექტის ავტორი და წარმდგენი**

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.